საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/48

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2019 წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2019 წლის 01 აპრილის MES 0 19 00381081 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან წარმომადგენლის - ერთი სტუდენტის ასარჩევად.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ჩატარდეს 2019 წლის 23 აპრილს (არჩევნებზე კენჭისყრა დაიწყება 10 საათზე და დამთავრდება 17 საათზე).
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N13) 2019 წლის 08 აპრილიდან – 2019 წლის 19 აპრილის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა ,10 საათიდან 16 საათამდე.
4. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
6. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახის გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 17 აპრილის ჩათვლით.
7. ბრძანება ჩაბარდეს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანს, განთავსდეს ბსუ-სა და ამ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში კონკურსები).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ხალვაში